1	**მასწავლებელი**	ხათუნა ყოჩაშვილი; khatokocha@gmail.com; T-577616643
2	**საგანი**	ქართული
3	**გაკვეთილის თემა**	ერთად ვწეროთ ინტერნეტში
4	**თარიღი, გაკვეთილის ხანგძლივობა**	23/05/2019 40 წთ
5	**სწავლების საფეხური/კლასი**	1 -ელი საფეხური . მე-3გ კლასი
6	**მოსწავლეთა რაოდენობა/პროფილი**	28 მოსწავლე სსსმ მოსწავლე არ არის
7	**სამოდელო გაკვეთილის ტიპი**	გამჭოლი კომპეტენცია
8	**თემის აქტუალობა**	ქართულის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია წერითი უნარების განვითარება ბავშვებისთვის. მინდა, რომ ბავშვებისთვის სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე იყოს სახალისო და საინტერესო, ამიტომაც აქტიურად ვიყენებ G-pried-ის წერის უნარების განმავითარებელ ვებ-გვერდს kargiskola.ge. ეს პორტალი ეხმარება ბავშვებს არა მხოლოდ აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების განვითარებაში, არამედ ციფრული უნარების განვითარებასა და ფანტაზიის გამდიდრებაში.
9	**გაკვეთილის მიზანი**	მოსწალემ უნდა შეძლოს : • სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე ტექნოლოგიების გამოყენებით.
10	**მიზნის შესაბამისობა ე.ს.გ-სთან**	**ქართ.დაწყ.(I).1** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. **ქართ.დაწყ.(I).15** წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

11	**სასწავლო რესურსი**	პროექტორი, ლეპტოპი, ბუკები, კალამი, დაფა, ცარცი, ფურცლები.	
12	**კლასის ორგანიზების ფორმები**	საერთო საკლასო, წყვილები.	
13	**მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები და ფორმები**	განმავითარებელი კომენტარებით - წერითი სტილის მახასიათებლების (ზღაპარი, სტატია, დღიური, წერილი) მიხედვით. იხილეთ დანართი N2.	
14	**წინარე ცოდნა**	მოსწავლეს შეუძლია : • ჩუმი კითხვა და გააზრება; • ინტერნეტში მუშაობა; • წყვილში მუშაობა; • წერითი სტილის მცირე ზომის ტექსტებზე მუშაობა.	
15	**გაკვეთილის მსვლელობა/აქტივობები**	**მსვლელობა**	**ორგანიზების ფორმა**
		გამოწვევის ფაზა **N1 აქტივობა:** გაკვეთილის თემის, მიზნის და შეფასების რუბრიკის გაცნობა. **დრო:** 5 წთ. **მიზანი :** მასწავლებელმა მოსწავლეს მიაწოდოს მოკლე ინფორმაცია გაკვეთილის შესახებ და გაუჩინოს გაკვეთილში ჩართვის სურვილი. **შედეგი:** მოსწავლეს ეცოდინება რა აქტივობები აქვს შესასრულებული, რამდენი დრო აქვს სამუშაოდ, მობილიზდება საგაკვეთილო პროცესში ეფექტურად ჩასართავად. **აქტივობის მსვლელობა :** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, გეგმას. **N2 აქტივობა -მცირე ზომის ტექსტების მახასიათებლების გახსენება**	მთელ კლასთან და ინდივიდუალურად.

		დრო : 5 წთ. **მიზანი :** მოსწავლეებმა გაიხსენონ სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტები და მათი მახასიათებლები. **შედეგი :** მოსწავლეები გაიხსენებენ წერილის, სტატიის, ზღაპრის, დღიურის წერის მახასიათებლებს, რაც ხელს შეუწყობს ონლაინტექსტების შექმნაში. **აქტივობის მსვლელობა** : მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს დიდი ზომის კონვერტს, დღიურს, გაზეთს და ზღაპარს. სვამს კითხვებს: -რა არის ეს ? ბავშვები ამოიცნობენ თითეულ მათგანს. -როგორ უნდა დაწერო წერილი? დღიური? საგაზეთო სტატია ? ზღაპარი? ბავშვები ჩამოთვლიან თითეული მათგანის მახასიათებლებს და პასუხებს შეადარებენ მასწავლებლის მიერ გამზადებულ მახასიათებლების პლაკატს. **შინაარსის რეალიზება** **N3 აქტივობა- ონლაინ ინსტრუმენტზე მუშაობა** **დრო: 20 წთ.** **მიზანი :** მოსწავლეებმა გამოიყენონ ონლაინ სასწავლო რესურსი მიზნობრივი ტექსტის შესაქმნელად. **შედეგი:** მოსწავლეები გაიხსენებენ სახალისო ონლაინ ინსტრუმენტს, შექმნიან მიზნობრივ ტექსტებს, რაც დაეხმარებათ წერითი უნარების განვითარებაში. **აქტივობის მსვლელობა:** ა) **საიტის ორიენტაციის გახსენება** http://kargiskola.ge/dawere/?page=format მოსწავლეები კომპიუტერებში ხსნიან ონლაინ ინსტრუმენტს. ათვალიერებენ: რა არის პერსონაჟი? თვისება? პრობლემა? წითელი ისარი? როგორ შეიძლება მათი შეცვლა და სასურველი სამეულის არჩევა? ბ) **ტექსტის შექმნა წყვილებში** მოსწავლეები ირჩევენ სასურველ სამეულს და სასურველ წერის სტილს: მასწავლებელს გამოაქვს ტოპრაკი, სადაც ჩაყრილია წერის სტილი, ბავშვებმა ჩაუხედავად უნდა ამოიღონ ფერადი ფურცელი და შემდეგ წყვილებში იმუშაონ მასზე.	

		რეფლექსიის ფაზა **N4 აქტივობა-პრეზენტაცია** **დრო: 10 წთ.** **მიზანი :** მოსწავლეებმა გააკეთონ ნაშრომის პირველადი მონახაზის პრეზენტაცია. **შედეგი:** მოსწავლეები მიხვდებიან სწორად გაართვეს თუ არა თავი დავალებას. **აქტივობის მსვლელობა:** ა) მოსწავლეთა წყვილები წაიკითხავენ შექმნილ ტექსტებს; ბ) „რედაქტორები“ შეაფასებენ თანაკლასელების ნამუშევარს წერითი სტილის მახასიათებლების მიხედვით; გ) მოსწავლეები შეაფასებენ გაკვეთილს; დ) მასწავლებელი აძლევს დავალებას მოსწავლეებს : გააფორმონ და დაასრულონ საკუთარი ნამუშევრები.	მთელ კლასთან და ინდივიდუალურად.

დანართი N1 გაკვეთილის გეგმა

1. გაკვეთილის თემის , მიზნის, გეგმის გაცნობა;
2. წერილის, დღიურის, ზღაპრის , გაზეთის მსგავსება -განსხვავების გახსენება;
3. საიტის გახსენება;
4. წერის სტილის შერჩევა;
5. პრეზენტაცია;
6. შეფასება.

დანართი N2 წერის სტილის მახასიათებლები

ზღაპარი	წერილი	დღიური	სტატია
• სათაური; • დასაწყისი : იყო და არა იყო რა; • კეთილი და ბოროტი გმირი; • ბოროტი მარცხდება; • ჯადოსნური არსებები; • დასასრული :ელასა მელასა..	• მისალმება; • მოკითხვა; • საკუთარი ამბის მოყოლა; • რჩევა, შეფასება; • დამშვიდობება; • თარიღი; • მისამართი.	• ავტორის ვინაობა; • ყოველდღიური ამბების მოყოლა ან დღის სხვადასხვა მონაკვეთში; მომხდარი ამბების მოყოლა.	• დამაინტრიგებელი სათაური; • ძირითადი ამბავი, საიდანაც გამომდინარეობს სათაური; • დასასრული. • „ჟურნალისტის სახელი და გვარი.“